



შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი

03 თებერვალი 2022 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 12-22

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.21 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილი №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), “აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების” მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის, (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით) “უმაღლესი განათლების შესახებ” 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 31 იანვარის 09-22 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (№ 01-22, 2022 წლის 02 თებერვალი) და შუამდგომლობის (№10, 2022 წლის 02 თებერვალი) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 27 დეკემბერს №211-21 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღწა კონკურსის და 2022 წლის 02 თებერვალს ჩატარებული (ოქმი №01-22) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე, დაინიშნონ:

სამართლის ფაკულტეტი

1.1 საჯარო მმართველობის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

წინო ქურასბედიანი

1.2 საჯარო სამართლის მიმართულებით (უპირატესად კანონშემოქმედებითობის პროცესის და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების) მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

პაატა ჯავახიშვილი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

1.3 აუდიტის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

ირმა გელანტია-ახვლედიანი

1.4 ადამიანური რესურსების მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

ნათია ჭელიძე

1.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:

გიორგი კობრეიძე

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთან შრომითი ხელშეკრულების დადება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრული ცვლილებების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ასახვა.
3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე